**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 3**

ქ. თერჯოლა 18 მარტი 2026 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე ლაშა ლანჩავა

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. ლაშა ლანჩავა, 2. რამაზი ლორთქიფანიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ნინო მახათაძე, 5. ელისო მურადაშვილი, 6. გიორგი ბრეგაძე, 7. ეკა ბერძენიშვილი, 8. ჯანო რობაქიძე, 9. თემური ქოჩიაშვილი, 10. ვლადიმერ მაკარიძე, 11. გიორგი ქასრაშვილი, 2. გიორგი ყაზაიშვილი

**კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა: 12**
**კვორუმი: 6 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28260731, 14.03.2026 წ.);

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28260731, 14.03.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის

დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 8000(რვა ათასი) ლარი, ისარგებლა 13 ბენეფიციარმა, თანხა თითქმის მთლიანად ამოწურულია, ამიტომ აღნიშნულ პროგრამას 10000(ათი ათასი) ლარი ემატება, განკარგულების დანართის მე-4 და მე-7 მუხლები იცვლება და ყალიბდება ახალი რედაქციით :

**ბ)განკარგულების დანართის მუხლი 4 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

,,„მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს უფლება აქვს კალენდარული წლის განმავლობაში ისარგებლოს ფინანსური დახმარებით არაუმეტეს ორჯერ, თითოეულ შემთხვევაში 300 (სამასი) ლარის ოდენობით (300–300 ლარი), ჯამურად არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.

**გ) განკარგულები დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

,, მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) ერთ ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი / პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი , დაბადების მოწმობის ასლი.

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ)სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.''

**აზრი გამოთქვეს:** აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პრგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601410 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -

პროგრამის ბიუჯეტის მცირდება 10 000 (ათი ათასი) ლარით და გადადის ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2026 წლის პროგრამის“ ბიუჯეტში.

**აზრი გამოთქვეს:** აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის № გ-29.292601412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ლაშა ლანჩავა